ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ნიშანსვეტი






4 აგვისტო. თბილისი. რესპუბლიკის მოედანი. რა ხანია, საერთო სიხარულს არ შევუკრებივართ ამდენნი, ასე ამაყად ჯერ არ აღგვიმართავს ჩვენი ეროვნული დროშა. ახდა ნანატრი — საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია.

„დამოუკიდებლობა ძნელად მისადგომი მწვერვალია. ჩვენ ალპინისტთა იმ რაზმს ვგავდით, მწვერვალის დალაშქვრა რომ დაიწყო საბაზისო ბანაკის მოუმზადებლად. ასეთი ლაშქრობა უფსკრულში გადაჩეხვით მთავრდება, მაგრამ ღმერთი მაღალია, ხოლო საქართველო მისი მადლითაა მოსილი“ — ბრძანა ზეიმზე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

ღვთის მადლს ღვთისნიერი საქციელი ეგების. და გაცხადდა კიდეც ეროვნული თანხმობის, ერთიანობის ძალუმი სურვილი, დაწესდა დიდი შერიგების დღე.

დღეს ყოველი, ვინც არ უნდა იყოს, უპირველესად ერის საკეთილდღეოდ უნდა გაისარჯოს. გზა ხსნისა სხვა არ არსებობს — ასეთი გახლდათ ზრახვა და სულისკვეთება ამ შეკრება-ზეიმისა, გულისთქმა თითოეული მისი მონაწილისა.

და კიდევ ერთი: ღმერთმა ინება მოვლენათა ასეთი თანხვედრა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინასთან ჩვენი ეროვნული დროშის აღმართვას წინაც უძღვოდა და მოსდევდა კიდეც ასეთივე ცერემონიალი ოლიმპიადაზე ბარსელონაში, ასე რომ, ქართულმა სპორტმა მართლაც გაგვიორკეცა სიხარული.

ვარლამ გენგიურის („საქართველოს რესპუბლიკა“), შ. აივაზოვისა და ს. კილაძის (ფოტოსააგენტო „დრო“) ფოტოები.



ბარსელონიდან XXV ოლიმპიური თამაშების რეპორტაჟების სპონსორია ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები თენგიზ გაჩეჩილაძე, დავით ლონლაძე, გიორგი მახარაძე ტელეფონით და ფაქსით ბარსელონიდან გვატყობინებენ:

Barcelona'92

## ლერი ხაბელოვი:
## „სეულში დაშვებული შეცდომა ბარსელონაში გამოვასწორე. ატლანტას ჩემი ოლიმპიადა იქნება“



**ბარსელონაში** საღამოს ცხრის ნახევარი იყო, როდესაც ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საჭიდაო დარბაზში დაიწყო 100 კგ წონით კატეგორიაში ოლიმპიური მედლების გადაცემის ცერემონიალი. ისევ მოხდა „გაუგებრობა“. ტაბლოზე ხაბელოვის გვარის გასწვრივ დაიწერა „რუსეთი“. ხაბელოვი მანამდე არ ავიდა კვარცხლბეკზე, სანამ შეცდომა არ გასწორდა.

...ლერი ხაბელოვმა ყველა შეხვედრაში დამაჯერებლად გაიმარჯვა: თანმიმდევრობით დაამარცხა თურქი ალი კაიალი 2:0, სამხრეთ აფრიკელი იოჰანეს როსოუ 8:1, ბულგარელი მიროსლავ მაკავეევი 3:0, უნგრელი სანდინი კისსი 6:0, პოლონელი ანჯეი რადომსკი 5:0 და წაუგებლად მივიდა ფინალამდე, სადაც მისი მეტოქე იყო გერმანელი ნეიკო ბალცი.

ლერიმ თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა და წუთგამოშვებით თითო ქულიანი ილეთი ჩაატარა. შემდეგ გერმანელმა შეძლო ერთი ქულის აღება, ხაბელოვმა კი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა — 2:1. გულშემატკივრებმა ეს ორთაბრძოლა თუ იხილეს, შეამჩნევდნენ, როგორ ქომაგობდა დარბაზი ხაბელოვს. თბილისიდან ჩამოვიდა ტურისტთა ახალი ჯგუფი. მათ ხალისით აყვნენ კატალონიელები, რომელთა სიმპათიები ლერიმ პირველივე შეხვედრებში დაიმსახურა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში თურქმა ალი კაიალიმ დაამარცხა კორეელი კიმ ტაე. ჩემპიონის პატივსაცემად დარბაზში აღიმართა ჩვენი ეროვნული დროშა და აჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

ბრწყინვალედ ჩაიარა პრეს-კონფერენციამ ჩემპიონთან, სადაც არაერთი საჩოთირო და, შეიძლება ითქვას, პროვოკაციული შეკითხვა დასვეს დასავლეთის ჟურნალისტებმა. ერთ-ერთ შეკითხვაზე ლერიმ კონკრეტულად უპასუხა, რომ იგი დაიბადა თბილისში, არის თბილისელი, მაგრამ ეროვნებით ოსია. ზოგიერთმა ჟურნალისტმა ისე მიიღო, თითქოს შეცდომის გამოსწორება დაჯილდოების წინ იმას ნიშნავდა, რომ ხაბელოვმა უეცრად შეიცვალა ქვეყანა — რუსეთის გუნდის წევრი საქართველოს წარმომადგენლად იქცა. ასეთი რამ, ყველამ კარგად ვიცით, არ ხდება, მაგრამ ამ თემას, ჟურნალისტები მაინც შეეხნენ კიდევ ერთი-ორ უაზრო შეკითხვასთან ერთად.



ოლიმპიადისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-2-8 გვ.

ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

8 აგვისტო, შაბათი, 1992 წ.
№ 47 (10 704) ● ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ოლიმპიადა — თამაშებ

## ფინალი — ფინალამდე

### „ბრინჯაო“, „ბრინჯაო“ და... ვნახოთ

**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეთა ტურნირში 130 კგ წონის ათლეტებმა ოქროს მედლის ბედი, ფაქტობრივად, მეოთხედფინალში გადაწყვიტეს. სწორედ ამ ეტაპზე შეახვედრა კენჭისყრამ ერთმანეთს სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი, თბილისელი დავით გობეჯიშვილი და ლოს-ანჯელესის თამაშების ოქროს მედლის მფლობელი, 32 წლის ამერიკელი ბრიუს ბაუმჰარტნერი. უკვე დაკანონდა, რომ ამ ორი ათლეტის შეხვედრა, შეჯიბრების რა ეტაპზეც უნდა მოხდეს იგი, ჩემპიონი უნდა გამოავლინოს. ასე იყო მუდამ მათი ურთიერთობის მრავალწლიან პრაქტიკაში, ასე იყო ამჯერადაც.

ბრძოლა ორ გიგანტს შორის მძაფრად და დაძაბულად წარიმართა. რეგლამენტით გათვალისწინებულმა ხუთმა წუთმა, ფაქტობრივად, არაფერი მოგვცა, დიახ, ხუთმა წუთმა ბოლო შვიდი წამის გამოკლებით. და ის იყო, ალარავის ეპარებოდა ეჭვი დამატებითი დროის დანიშვნის აუცილებლობაში (პირველ მომგებიან ქულამდე), რომ ამერიკელმა ბოლო შეტევა წამოიწყო და ილეთიც ჩაატარა. დრო მცირე დარჩა, სულ რაღაც 7 წამი და ამ მწვავე „ცაიტნოტში“ გობეჯიშვილმა, ბუნებრივია, ველარ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება.

ფინალი ბაუმჰარტნერისთვის უფრო მოთელვას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჭეშმარიტ ბრძოლას. ამერიკელმა კანადელ ჯეფრი ტიუსრვა ქულა აართვა და ჩემპიონის ოქროს მედალი გაინაღდა, გობეჯიშვილმა კი თურქი მაჰმუდ დემირი დაამარცხა და ბრინჯაოს ჯილდოს დაეუფლა.

გთავაზობთ ქართველი მოჭიდავის შეხვედრათა განრიგს თანმიმდევრულად: 1 წრე, გამარჯვება ჩეხეთ-სლოვაკიელ სტეჩთან — 6:3; II წრე. გამარჯვება ბულგარელ ბარბუტოვთან — 7:1, III წრე. მარცხი ამერიკელ ბაუმჰარტნერთან — 0:3, IV წრე. გამარჯვება გერმანელ შრიოდერთან — 4:3, V წრე. გამარჯვება თურქ მაჰმუდ დემირთან — 4:0.

ამ დღეს გამოვლინდნენ ოლიმპიური ჩემპიონები კიდევ ორ წონაში — 48 და 74 კგ-ში — ორივეში წარმატება კორეელმა ათლეტებმა მოიპოვეს: კიმ ირ იზმა (კსდრ) და პან ენ სუნმა (სამხრ. კორეა).

სპეციალისტების აზრით, ლელა მესხისა და ნატალია ზვერევას დუეტს, თუკი განაგრძო მან არსებობა, უსათუოდ დიდი მომავალი უნდა ჰქონდეს. ჩოგბურთში შეხმატკბილებული, სინქრონულად მოთამაშე წყვილი ნახევარ გამარჯვებას ნიშნავს, მაგრამ ამ შეთამაშებას დრო სჭირდება. მესხისა და ზვერევას წყვილი კი, ფაქტობრივად, ექსპრომტად, ოლიმპიადის წინ შეიქმნა. ამიტომ, ბრინჯაოს ჯილდო, რომელიც ამ ჩოგბურთელებმა გუშინწინ დაისაკუთრეს, უსათუოდ მილოცვას იმსახურებს. სხვათა შორის, მათი ნახევარფინალური შეხვედრა მერიჯო და ჯიჯი ფერნანდესებთან (ორივე — ამერიკელია) საკმაოდ მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. ამერიკელებმა, რომლებიც დიდი ხანია, ერთად თამაშობენ, გაიმარჯვეს 6:4, 7:5 და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მესხმა და ზვერევამ კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, III ადგილი დაისაკუთრეს.

ოლიმპიური რინგის ნამდვილი აღმოჩენაა ქართველი რამაზ ფალიანი, რომელიც აქ შემტევი, ტექნიკური და აზრიანი კრივის „გაკვეთილებს“ ატარებს. მეოთხედფინალში რუმინელ დიმიტრესკუსთან გამარჯვებით მან ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. ახლა კი, თუ შეიძლება, ასე ითქვას, „რეკორდზე“ მიდის. ნახევარფინალში წარმატებით (ეს ბრძოლა გუშინ საღამოთი გაიმართა) იგი ვერცხლის მედალოსანი გახდება, მერე კი... თუმცა, ამაზე საუბარი ჯერ ადრეა.

## ჩვენი მედალოსნები ჯერჯერობით

1. დავით ხახალეიშვილი (ძიუდო) — „ოქრო“
2. კახი კახიაშვილი (ძალოსნობა) — „ოქრო“.
3. ლერი ხაბელოვი (თავ. ჭიდაობა) — „ოქრო“
4. გოგი კოღუაშვილი (ბერძნულ- რომ. ჭიდაობა) — „ბრინჯაო“
5. ხათუნა ქვრივიშვილი (მშვილდოსნობა) — „ბრინჯაო“.
6. დავით გობეჯიშვილი (თავ. ჭიდაობა) — „ბრინჯაო“
7. ლელა მესხი (ჩოგბურთი) — „ბრინჯაო“
8. რამაზ ფალიანი (კრივი) — „ბრინჯაო“.

ფალიანის ბრინჯაოს მედალი პირობითია, უფრო სწორად, მას III ადგილი განაღდებული აქვს და, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, უკეთესი შედეგიც აჩვენოს.

## 8 მედალი და XXI-XXII ადგილები

პარასკევისთვის ოლიმპიური მედლების ნუსხა ასე გამოიყურებოდა:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| გაერთ. გუნდი | 35 | 29 | 28 |
| აშშ | 27 | 32 | 27 |
| გერმანია | 19 | 16 | 28 |
| ჩინეთი | 16 | 20 | 14 |
| საფრანგეთი | 8 | 5 | 13 |
| სამხ. კორეა | 10 | 5 | 10 |
| ავსტრალია | 6 | 8 | 9 |
| უნგრეთი | 10 | 8 | 2 |
| იაპონია | 3 | 7 | 10 |
| იტალია | 5 | 5 | 7 |
| კუბა | 5 | 3 | 8 |
| რუმინეთი | 4 | 5 | 7 |
| კანადა | 6 | 3 | 6 |
| ინგლისი | 5 | 3 | 7 |
| პოლონეთი | 3 | 4 | 7 |
| ესპანეთი | 10 | 2 | — |
| ჰოლანდია | 2 | 3 | 6 |
| ბულგარეთი | 1 | 6 | 4 |
| ახალი ზელანდია | 1 | 4 | 4 |
| შვეცია | 1 | 4 | 3 |
| ჩეხეთ-სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 |
| კსდრ | 3 | — | 3 |
| ინდონეზია | 2 | 2 | 1 |
| თურქეთი | 2 | 1 | 2 |
| ნორვეგია | 2 | 2 | — |
| კენია | 1 | 2 | 1 |
| დანია | 1 | — | 3 |
| იამაიკა | — | 3 | 1 |
| ბელგია | — | 1 | 2 |
| დამოუკ. მონაწ. | — | 1 | 2 |
| საბერძნეთი | 2 | — | — |
| ბრაზილია | 1 | 1 | — |
| ესტონეთი | 1 | — | 1 |
| ავსტრია | — | 2 | — |
| ფინეთი | — | 1 | 1 |
| ისრაელი | — | 1 | 1 |
| ლატვია | — | 1 | 1 |
| ნამიბია | — | 2 | — |
| სლოვენია | — | — | 2 |
| ლიტვა | 1 | — | — |
| მაროკო | 1 | — | — |
| პერუ | — | 1 | — |
| ტაივანი | — | 1 | — |
| ბაჰამის კუნძ. | — | — | 1 |
| კოლუმბია | — | — | 1 |
| ეთიოპია | — | — | 1 |
| ირანი | — | — | 1 |
| მალაიზია | — | — | 1 |
| მონღოლეთი | — | — | 1 |
| სურინამი | — | — | 1 |

**შენიშვნა:** მედლების რაოდენობით (8) საქართველო 21-22-ე ადგილებს იყოფდა. შვეციასთან, მაგრამ მასზე მეტი ოქროს ჯილდო აქვს, ეს კი კლასიფიკაციის დროს გადამწყვეტია. ოქროს მედლების რაოდენობით კი საქართველოს ოლიმპიელები 16-20 ადგილებს იყოფენ იაპონიის, პოლონეთის, ჩეხეთ-სლოვაკეთის და ჩრდილოეთ კორეის (კსდრ) სპორტსმენებთან ერთად.

აქვე შევახსენებთ, რომ რუსეთის ოლიმპიელებს (და არა გაერთიანებულ გუნდს) ჯერჯერობით მიღებული აქვთ 12 ოქროს, 11 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი.



## სიტყვის კაცი

— ნუ გეშინიათ, ყველაფერი რიგზე იქნება — დაამშვიდა თავისი მწვრთნელი და გულშემატკივრები კახი კახიაშვილმა ერთ ოლიმპიადამდელ ტელეინტერვიუში. სიტყვის კაცი ყოფილა — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე არავის „აუშვა“, თანაც: იმნაირ გამარჯვებას, მან რომ მიაღწია, სპორტულ გმირობას უწოდებენ. ოლიმპიური „ოქროთი“ მისი დაჯილდოების (სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი) შემდეგ, ოლიმპიურ სოფელში კახის, ცხადია, საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელობა შეხვდა, წარმატებაც მიულოცა და ჯილდოდ 5 ათასი დოლარიც გადასცა. სპორტსაზოგადოება „შევარდენი“, რომლის წარმომადგენელიც გახლავთ კახიაშვილი, თბილისში მას 1000 დოლარითა და 30 ათასი მანეთით დააჯილდოებს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ემატოს!

**ოლიმპიადის** დღეებში ბარსელონაში გაიმართა სპორტის არაერთი სახეობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომლებზეც მიიღეს ახალი წევრები, მათ შორის, ცხადია, საქართველოს სპორტული ფედერაციებიც. დღეს კიდევ ერთი ასეთი სიახლე უნდა გაუწყოთ: ჩვენს იმ სახეობათა ნუსხას, რომელთა ფედერაციები გაწევრიანდნენ, შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებში, შეემატა თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობები. ასე გადაწყდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) კონგრესზე. ფილას კონგრესის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობდა რომან რურუა.



## კობიმ ყველაფერი იცის

● **ძალოსანმა** იბრაგიმ სამადოვმა უარი განაცხადა ბრინჯაოს მედლის მიღებაზე, რამაც დიდი გაკვირვება გამოიწვია თვით გაერთიანებული გუნდის დელეგაციაში. ამ ფაქტს მრავალი მიზეზით ხსნიდნენ, მათ შორის, პოლიტიკურითაც. საბოლოოდ გაირკვა, რომ სპორტსმენი განაწყენებული ყოფილა მწვრთნელზე. სამადოვმა მოინანია, მაგრამ მედალი აღარ გადასცეს. სპორტსმენის ამ საქციელზე იმსჯელებს საერთაშორისო ფედერაცია.

● **25 გამორჩეულ** მოხალისეს მრავალი ათასიდან, რომლებიც ემსახურებიან თამაშებს ოლიმპიურ სოფელში, საზეიმოდ გადასცეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამახსოვრო მედალი.

● **ოლიმპიურ** სოფელში მოხდა ინციდენტი მოხალისეებსა და სტუმრებს შორის. ჟურნალისტებმა მოითხოვეს მოხალისეების შეურაცხმყოფელთა ვინაობის დასახელება, რაზედაც უარი მიიღეს. პრეს-კონფერენციაზე ორგანიზატორებმა გაახსენეს, რომ ერთხელ ასეთივე ხასიათის ინციდენტის გამო ორი ჟურნალისტი გააძევეს ოლიმპიური სოფლიდან, მათი გვარებიც გამოაცხადეს, ახლა კი, სტუმრებს ხელს აფარებენ.

● **ორგანიზატორების** საქმიანობაზე პროტესტი გამოთქვეს გერმანელებმა — მათი აზრით, სპეციალური ტრანსპორტი მოუქნელად მუშაობს.

პასკუალ მარაგალმა ოლიმპიადას მშვიდობიანი ომი უწოდა და ამით ყველას აგრძნობინა — ომის დროს ყველაფერი წესრიგში ვერ იქნებაო.

## ავტოგრაფები ტაბლოზე

31 ივლისი



### ცურვა

**ქალები. 50 მ. თავისუფალი სტილი.** 1. იან ვენი — 24,79; 2. ჩჟუან იუნი (ორივე — ჩინეთი) — 25,08; 3. ა. მარტინო (აშშ) — 25,23.

**ვაჟები. 1500 მ. თავისუფალი სტილი.** 1. კ. პერკინსი — 14.43,48; 2. გ. ჰაუსმანი (ორივე — ავსტრალია) — 14.55,29; 3. ი. ჰოფმანი (გერმანია) — 15.02,29.

**ვაჟები. 4X100 მ. კომბინირებული ესტაფეტა.** 1. აშშ — 3.36,93; 2. გაერთ. გუნდი — 3.38,56; 3. კანადა — 3.39,66.



### ტყვიის სროლა

**ვაჟები. მცირეკალიბრიანი შაშხანა.** 1. გ. პეტიკიანი (გაერთ. გუნდი) — 1267,4; 2. რ. ფოტი (აშშ) — 1266,6; 3. რ. კოსა (იაპონია) — 1265,9.



### ველოტრეკი

**ვაჟები.** გამოდევნებით გუნდური რბოლა. 1. გერმანია — 4.08,792; 2. ავსტრალია — 4.10,218; 3. დანია — 4.15,860.

**ვაჟები. სპრინტი.** 1. ი. ფიდლერი (გერმანია); 2. გ. ნეივანდი (ავსტრალია); 3. კ. ჰარნეტი (კანადა).

**ქალები. სპრინტი.** 1. ე. სალუმიაე (ესტონეთი); 2. ა. ნოიმანი (გერმანია), 3. ი. ჰარინგა (ნიდერლანდი).



### ძალოსნობა

**82,5 კგ.** 1. პ. დიმასი (საბერძნეთი) — 370 კგ; 2. კ. სიმიონი (პოლონეთი) — 370 კგ; 3. ი. სამადოვი (გაერთ. გუნდი) — 370. ვინაიდან ამ უკანასკნელმა უარი თქვა ბრინჯაოს მედლის მიღებაზე, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მისი შედეგი გააუქმა.



### კალათბურთი

**ვაჟები.** გაერთიანებული გუნდი — ლიტვა 92:80, ხორვატია — გერმანია 99:78, აშშ — ბრაზილია 127:83.



### ფრენბურთი

**ქალები.** აშშ — გაერთიანებული გუნდი 3:2, ჰოლანდია — ჩინეთი 3:2, ბრაზილია — კუბა 1:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ი მსოფლიოსათვის

## ავტოგრაფები ბაბლოზე

1 აგვისტო

### სპორტული ტანვარჯიში

**ქალები. დებიუტი.** 1. ტ. ლისენკო (გაერთ. გუნდი) — 9,975; 2-3. ლიუ ლი (ჩინეთი), შ. მილერი (აშშ), — 9.912.

**ქალები. ხტომები.** 1-2. ჰ. ონოდი (უნგრეთი), ლ. მილოსევიჩი (რუმინეთი) — 9,925; 3. ტ. ლისენკო — 9,912.

**ქალები. ორძელი.** 1. ლიუ ლი — 10; 2. ტ. გუცუ (გაერთ. გუნდი) — 9,975; 3. შ. მილერი — 9,962.

**ქალები. თავისუფალი ვარჯიში.** 1. ლ. მილოსოვიჩი — 10; 2. ჰ. ონოდი — 9,950; 3-5. ტ. გუცუ, კ. ბონტაში (რუმინეთი), შ. მილერი — 9,912.

**ვაჟები. რგოლები.** 1. ვ. შჩერბო (გაერთ. გუნდი) — 9,937; 2. ლი შინი (ჩინეთი) — 9,875; 3-4. ა. ვეკერი (გერმანია), ლ. სიაოშუანი (ჩინეთი) — 9,862.

**ვაჟები. ხტომები.** 1. ვ. შჩერბო — 9,856; 2. გ. მისიუტინი (გაერთ. გუნდი) — 9,781; 3. იუ რულ ოოი (სამხრ. კორეა) — 9,762.

**ვაჟები. ორძელი.** 1. ვ. შჩერბო — 9,900; 2. ლი შინი — 9,812; 3-5. გო ლინიაო (ჩინეთი), ი. კორობჩინსკი (გაერთ. გუნდი), მ. მაცუნაგა (იაპონია) — 9,800;

**ვაჟები. ტაიჭი.** 1-2. ვ. შჩერბო, პა ხილ სუ (სამხრ. კორეა) — 9,925; 3. ა. ვეკერი — 9,887.

**ვაჟები. ძელძი.** 1. ტ. დიმასი (აშშ) — 9,875; 2-3. გ. მისიუტინი, ა. ვეკერი — 9,837;

**ვაჟები. თავისუფალი ვარჯიში.** 1. ლი სიაოშუანი — 9,925; 2-3. გ. მისიუტინი, ი. იკეტანი (იაპონია) — 9,787.

### მძლეოსნობა

**ვაჟები. რბენა 100 მ.** 1. ლ. კრისტი (ინგლისი) — 9,96; 2. ფ. ფრედერიკსი (ნამიბია) — 10,02; 3. ჯ. მიჩელი (აშშ) — 10,04.

**ვაჟები. ურო.** 1. ა. აბდუვალიევი — 82,54; 2. ი. ასტაპკოვიჩი — 81,96; 3. ი. ნიკულინი (ყველა — გაერთ. გუნდი) — 81,38.

**ვაჟები. ბირთვი.** 1. მ. სტალცი — 21,70; 2. დ. ლერინგი (ორივე — აშშ) — 20,96; 3. ვ. ლიხო (გაერთ. გუნდი) — 20,94.

**ვაჟები. სიმაღლეზე ხტომა.** 1. ხ. სოტომაიორი (კუბა), 2. პ. შებერგი (შვეცია), 3. ა. პარტიკა (პოლონეთი), ტ. ფორსიტი (ავსტრალია), პ. კონვეი (აშშ) — 2,34.

**ქალები. მარათონი.** 1. ვ. ეგოროვა (გაერთ. გუნდი) — 2:32.41; 2. ი. არიმორი (იაპონია) — 2:32.49; 3. ლ. მოლერი (ახ. ზელანდია) — 2:35.39.

**ქალები. რბენა 3000 მ.** 1. ე. რომანოვა — 8.46,04; 2. ტ. დოროვსკიხი (ორივე — გაერთ. გუნდი) — 8.46,85; 3. ა. ჩალმერსკი (კანადა) — 8.47,22.

**ქალები. შვიდჭიდი.** 1. ჯ. ჯოინერ-კერსი (აშშ) — 7044; 2. ი. ბელოვა (გაერთ. გუნდი) — 6845; 3. ს. ბრაუნი (გერმანია) — 6649.

**ქალები. შუბი.** 1. ს. რენკი (გერმანია) — 68,34; 2. ნ. შიკოლენკო (გაერთ. გუნდი) — 68,26; 3. კ. ფორკელი (გერმანია) — 66,86.

### აკადემიური ნიჩბოსნობა

**ვაჟები. ერთადგილიანები.** 1. ტ. ლანგე (გერმანია) — 6.51,40; 2. ვ. შალუპა (ჩეხეთ-სლოვაკეთი) — 6.52,93, 3. კ. ბრონიევსკი (პოლონეთი) — 6,56,82.

**ვაჟები. ორადგილიანები.** 1. ავსტრალია — 6.17,32; 2. ავსტრია — 6.18,42; 3. ჰოლანდია — 6.22,82.

**ვაჟები. ოთხადგილიანი გახაშლელი, მესაჭით.** 1. რუმინეთი — 5.59,37; 2. გერმანია — 6.00,34; 3. პოლონეთი — 6.03,27.

### ტყვიის სროლა

**ქალები. პნევმატური პისტოლეტი.** 1. მ. ლოგვინენკო (გაერთ. გუნდი) — 48?,4; 2. ი. სეკარიჩი (იუგოსლავია) — 486,4; 3. მ. გრუზდევა (ბულგარეთი) — 481,6.

**ვაჟები. მოძრავი სამიზნე.** 1. მ. იაკოსტისი (გერმანია) — 673; 2. ა. ასრაბაევი (გაერთ. გუნდი) — 672; 3. ლ. რაკანსკი (ჩეხეთ-სლოვაკეთი) — 670.

### ძალოსნობა

**90 კგ.** 1. კ. კახიაშვილი — 412,5; 2. ს. სირცოვი (ორივე — გაერთ. გუნდი) — 412,5; 3. ს. ვოლჩანეცკი (პოლონეთი) —392,5.

### ფარიკაობა

**ვაჟები. რაპირა.** 1. ფ. ომნე (საფრანგეთი), 2. ს. გოლუბიცკი (გაერთ. გუნდი), 3. ე. გრეგორი (კუბა).



### წყალბურთი

გაერთ. გუნდი — ჩეხეთ-სლოვაკეთი 10:6; აშშ — ავსტრალია 8:4; იტალია — უნგრეთი 7:7, საფრანგეთი — გერმანია 7:7.

2 აგვისტო

### ძიუდო

**ვაჟები. მჩატე.** 1. ი. ჰუსეინოვი (გაერთ. გუნდი), 2. იუნ ხიუნი (სამხრ. კორეა), 3. რ. ტრაუტმანი (გერმანია) და ტ. კოშინო (იაპონია).

### ფარიკაობა

**დაშნა.** 1. ე. სრეცკი (საფრანგეთი), 2. პ. კოლობკოვი (გაერთ. გუნდი), 3. ჟ. მ. ანრი (საფრანგეთი).

### აკადემიური ნიჩბოსნობა

**ქალები. ოთხადგილიანი, უმესაჭეოდ.** 1. გერმანია — 6.20,18; 2. რუმინეთი — 6.24,34; 3. გაერთ. გუნდი — 6.32,40.

**ქალები. რვაადგილიანი.** 1. კანადა — 6.02,62; 2. რუმინეთი — 6.06,26; 3. გერმანია — 6.07,80.

### ძალოსნობა

**100 კგ.** 1. ვ. ტრეგუბოვი — 410 კგ; 2. ტ. ტაიმაზოვი (ორივე — გაერთ. გუნდი) — 402,5; 3. ვ. მალაკი (პოლონეთი) — 400.

### ველოსპორტი (გზატკეცილი)

**ვაჟები. 194 კმ. ჯგუფური რბოლა.** 1. ფ. კაზარტელი (იტალია)— 4:35.21; 2. ე. დეკერი (ჰოლანდია) — 4:35.22; 3. დ. ოზოლსი (ლატვია) — 4:35.24.

### აფროსნობა

„ვარსკვლავის" კლასი. 1. მ. რეინოლდსი (აშშ) — 31,4; 2. რ. დევისი (ახ. ზელანდია) — 58,4; 3. რ. მაკდონალდი (კანადა) — 62,7.

### კალათბურთი

**ვაჟები.** პუერტო-რიკო — გაერთ. გუნდი 82:70; აშშ — ესპანეთი 122:81, ლიტვა — ავსტრალია 98:82; ხორვატია — ანგოლა 73:64; ბრაზილია — გერმანია 85:76.

### ფეხბურთი

**მეოთხედფინალები.** განა — პარაგვაი 4:2; შვეცია — ავსტრალია 1:2; ესპანეთი — იტალია 1:0, პოლონეთი — კატარი 2:0.

3 აგვისტო

### წყალში ხტომა

**ქალები. 3 მ. ტრამპლინი.** 1. გაო მინი (ჩინეთი) — 572,40; 2. ი. ლაშკო (გაერთ. გუნდი) —514,14; 3. ბ. ბალდური (გერმანია)—503,07.

### ფარიკაობა

**ხმალი.** 1. ვ. საბო (უნგრეთი), 2. მ. მარინი (იტალია), 3. ჟ. ფ. ლიამური (საფრანგეთი).

### მშვილდოსნობა

**ქალები. 70 მ.** 1. იუნ ენგ ჩო, 2. სო კიუნგ კიმი (ორივე — სამხრ. კორეა), 3. ნ. ვალეევა (გაერთ. გუნდი).

**ვაჟები. 70 მ.** 1. ს. ფლიუტი (საფრანგეთი), 2. ე. ხუნ ჩონი (სამხრ. კორეა), 3. ს. ტერი (ინგლისი).

### ძალოსნობა

**110 კგ.** 1. რ. ველერი (გერმანია) — 432,5; 2. ა. აკოევი (გაერთ. გუნდი) — 430; 3. ს. ბოტევი (ბულგარეთი) — 417.

### ცხენოსნობა

**ცხენის გაწვრთნა.** 1. გერმანია, 2. ჰოლანდია, 3. აშშ.

### მძლეოსნობა

**ქალები. 800 მ.** 1. ე. ვან ლანგენი (ჰოლანდია) — 1.55,54; 2. ლ. ნურუტდინოვა (გაერთ. გუნდი) — 1.55,99; 3. ა. კიროტი (კუბა) — 1.56,80.

**ქალები. 10 კმ. სიარული.** 1. ჩენ იუელინი (ჩინეთი) — 44.32,0; 2. ე. ნიკოლაევა (გაერთ. გუნდი) — 44.33,0; 3. ლი ჩუნსიუ (ჩინეთი) — 44.41,0.

**ქალები. ბადრო.** 1. მ. მარტენი (კუბა) — 70,06; 2. ტ. ხრისტოვა (ბულგარეთი) — 67,78; 3. დ. კოსტიანი (ავსტრალია) — 66,24.

**ვაჟები. 10.000 მ. რბენა.** 1. ხ. სკახი (მაროკო) — 27.46,70; 2. რ. ჩელიმო (კენია) — 27.47,72; 3. ა. აბებე (ეთიოპია) — 28,00,07.

**ვაჟები. სამხტომი.** 1. მ. კონლი — 18,17; 2. ჩ. სიმპკინზი (ორივე — აშშ) — 17,60; 3. ფ. რუტერფორდი (ბაჰამის კუნძულები) — 17,36.

**ვაჟები. 110 მ. თარჯრბენი.** 1. მ. მაკოი (კანადა) — 13,12; 2. ტ. დიზი — 13,24; 3. დ. პირსი (ორივე — აშშ) — 13,26.

### აფროსნობა

**„მფრინავი ჰოლანდიელი".** 1. ლ. დორესტე (ესპანეთი) — 29,7; 2. პ. ფერსტერი (აშშ) — 32,7; 3. ი. ბოისენ-მელერი (დანია) — 37,7.

**„470" (ვაჟები).** 1. ხ. კალაფატი, ფ. სანჩესი (ესპანეთი) — 50,00; 2. მ. რისერი, კ. ბერნჰემი (აშშ) — 66,70; 3. ძმები ტინუ და ტოომას ტინისტე (ესტონეთი) — 68,70;

**„470" (ქალები).** 1. ტ. საბელი, პ. გერა (ესპანეთი) — 30,70; 2. ლ. დ. ეგნოტი, დ. შირერი (ახ. ზელანდია) — 39,70; 3. დ. აისლერი, პ. ჰილი (აშშ) — 42,40.

**„ტორნადო".** 1. ი. ლოდე (საფრანგეთი) — 40,4; 2. რ. სმითი (აშშ) — 42,0; 3. მ. ბუტი (ავსტრალია) — 44,4.

**„ევროპა" (ქალები).** 1. ლ. ანდერსენი (ნორვეგია) — 48,70; 2. ნ. ვია დიფრესნე (ესპანეთი) — 57,40; 3. დ. ტროტმენი (აშშ) — 62.70.

4 აგვისტო

### აფროსნობა

**დაფა „ა-390" (ქალები).** 1. ბ. კანდალი (ახალი ზელანდია) — 47,8; 2. სიაოდონ ჩჟანი (ჩინეთი) — 65,8; 3. დ. დე ვრიზი (ჰოლანდია) — 68,7.

**ვაჟები:** 1. ფ. დევიდი (საფრანგეთი) — 70,7; 2. მ. გებჰარდტი (აშშ) — 71,1; 3. ლ. კლეპიხი (ავსტრალია) — 98,7.

### მშვილდოსნობა

**ქალები. გუნდური.** 1. სამხრ. კორეა, 2. ჩინეთი, 3. გაერთ. გუნდი.

**ვაჟები. გუნდური.** 1. ესპანეთი, 2. ფინეთი, 3. ინგლისი.

### ძალოსნობა

**+110 კგ.** 1. ა. კურლოვიჩი — 450,0; 2. ლ. ტარანენკო — 425,0 (ორივე — გაერთ. გუნდი); 3. მ. ნერლინგერი (გერმანია) — 412,5.

### წყალში ხტომა

**ვაჟები. კოშკი.** 1. სან. შუვეი (ჩინეთი) — 677,310; 2. ს. დონი (აშშ) — 633,630; 3. სიონგ ნი (ჩინეთი) — 600,150.

### ფარიკაობა

**რაპირა. ქალთა გუნდები.** 1. იტალია, 2. გერმანია, 3. რუმინეთი.

### კალათბურთი

**ვაჟები.** გაერთ. გუნდი — გერმანია 83:76; ლიტვა — ბრაზილია 114:96; აშშ — პუერტო-რიკო 115:77; ხორვატია — ავსტრალია 98:65;



ბარსელონა, სანაპირო.

Barcelona '92

## ოლიმპიური მოზაიკა

### ტკბილი ცხოვრების მოყვარულნი

ესპანეთის პოლიციამ ბრაზილიის საელჩოს თხოვნით დააკავა ორი სამხრეთამერიკელი მაყურებელი, რომლებიც გულისყურით ადევნებდნენ თვალს თავიანთ ფრენბურთელთა თამაშს და საკმაოდ ხმამაღლა ქომაგობდნენ მათ. როგორც გაირკვა, ეს ბრაზილიელები საკმაოდ ცნობილი ბანდიტები ყოფილან, მათ სამშობლოდან გაიტაცეს 20 მილიონი დოლარი და ოლიმპიადის ქალაქში ტკბილ ცხოვრებას აპირებდნენ.

### იძულებულია გამოტოვოს

როგორც ჩანს, ძიუდოისტ ქალთა ოლიმპიურ ტურნირში გამარჯვებული ფრანგი სესილ ნოვაკი მონაწილეობას ვერ მიიღებს ორ დიდ შეჯიბრებაში, ვინაიდან ვერ იტანს თვითმფრინავით მგზავრობას და ჰაერში ცუდად ხდება. არადა, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატს ძიუდოში კანადა უმასპინძლებს, მომდევნო ოლიმპიური ტურნირი კი, როგორც ცნობილია, ატლანტაში გაიმართება.

### შეჯიბრებიდან... ეკლესიაში

იშვიათად დამთავრებულა რომელიმე შეჯიბრება ისე რომანტიკულად, როგორც აკადემიურ ნიჩბოსნობაში „რვიანების" რეგატა. გერმანიის გუნდის წევრებმა 27 წლის სტეფან შოლტმა და 2 წლით მასზე უმცროსმა კერსტინ პეტერსმანმა რბოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტეს... დაქორწინება იქვე, სანიჩბოსნო არხის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიაში. ქალაქ ბანიოლესის (რეგატა სწორედ იქ ტარდებოდა) მერმა ითავა საზეიმო ცერემონიალის ხელმძღვანელობა და ბედნიერი მომავალი უსურვა ახალდაქორწინებულებს.

### ბედმა უმუხთლა

მეექვსე ცდაზე მართლაც რომ სასწაული მოხდა: 29 წლის ამერიკელმა სამხტომელმა მაიკ კონლიმ თითქოს დაარღვია დედამიწის მიზიდულობის კანონი და დაუჯერებლად დიდხანს იფრინა ჰაერში. მიწაზე რომ დაეშვა, ტაბლომ ფანტასტიკური შედეგი აჩვენა — 18 მეტრი და 17 სანტიმეტრი, მსოფლიო რეკორდზე მთელი 20 სანტიმეტრით უკეთესი. მაგრამ იქვე მოედანზე, დიდი ტაბლოს გვერდით აღმართულ მცირე ტაბლოზე დაფიქსირდა ქარის სიჩქარე ხტომის დროს — 2,1 მეტრი წამში. აი, ეს იყო საბედისწერო მაჩვენებელი, რომელმაც კონლის რეკორდი გააუქმა.

### ფედერაცია იცავს არბიტრებს

კრივის საერთაშორისო ფედერაცია თავგამოდებით იცავს თავისი არბიტრების პრესტიჟს, მაგრამ საქმეს ეს არ შველის და მსაჯთა მიმართ პროტესტების ტალღა მატულობს. ორიოდე დღის წინ ფედერაციამ უარყო მსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონის, ამერიკელთა გუნდის კაპიტნის, ერიკ გრიფინის აპელაცია, რომელმაც უსამართლოდ მიიჩნია ესპანელ რაფაელ ლოზანოსთან შეხვედრის შედეგი. ადრე, ფედერაციამ უარყო ტუნისისა და გერმანიის გუნდების პროტესტი.

# საქმე ყველაფერს წარმოაჩენს



**დავით პერტენავას** კარგად იცნობს სპორტის ქართველი გულშემატკივარი — თავის დროზე სპორტსმენი გახლდათ, ტანმოვარჯიშე, შემდეგ, რამდენიმე წლის მანძილზე, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ამჟამად იგი კორპორაცია „ინტერსპორტლოტოს" პრეზიდენტია. ერთი სიტყვით, ჩვენი თანამოსაუბრის ცხოვრების დიდი ნაწილი უშუალოდ სპორტთან არის დაკავშირებული.

● **ბატონო დავით, საუბარი უშუალოდ კორპორაციით მინდა დავიწყო. რედაქცია უამრავ წერილს იღებს, სადაც დასმულია ასეთი შეკითხვა: სახელწოდების ცვლილების მიღმა არის რაიმე სიახლე თუ ყველაფერი ჩვეულებრივად დარჩა?**

— სტრუქტურა რომ ძველებური დარჩენილიყო, არც სახელწოდება შეიცვლებოდა. ყველაფერი შეიცვალა, გარდაიქმნა მთელი სტრუქტურა. ჩვენი სამმართველო მთლიანად გამოეყო საკავშიროს, გახდა სრულიად დამოუკიდებელი, გადაკეთდა კორპორაციად და შევიდა საერთაშორისო და სპორტული ლატარიების ასოციაციაში.

● **ბევრს აინტერესებს ისიც, ბილეთების რეალიზაციით შემოსული თანხის რა პროცენტი მიაქვს ყოფილ საკავშირო, ამჟამად კი რუსეთის სპორტული ლატარიების მთავარ სამმართველოს.**

— არც ერთი პროცენტი. მთელი შემოსავალი საქართველოში რჩება. საქმე ის გახლავთ, რომ ამჟამად, მოლაპარაკების საფუძველზე, ჩვენ მათგან ვყიდულობთ „სპორტლოტოსა" და „სპორტპროგნოზის" ბილეთებს, ვყიდით და რუსეთს ვუგზავნით მხოლოდ ბილეთების საფასურს. მთელი მოგება საქართველოში რჩება და ქართული სპორტის კეთილდღეობას ხმარდება, მოთამაშეთა მიერ მოგებულ თანხას კი კვლავ ყოფილი საკავშირო სტრუქტურა იხდის, ისევე, როგორც ადრე იყო.

● **კი მაგრამ, მაშინ მათ რაღა მოგება აქვთ?..**

— არავითარი, მაგრამ არც წაგებულნი რჩებიან და ამჟამად ესეც ხელს აძლევთ, რადგანაც შენარჩუნებული არიან როგორც სტრუქტურა...

● **რესპუბლიკაში რთული პოლიტიკური ვითარების გამო, გართულდა სატრანსპორტო ურთიერთობა დასავლეთის რეგიონებთან, მეტადრე კი სამეგრელოსთან და აფხაზეთთან. არადა, „ლელო" იქიდანაც იღებს ლატარიების მოყვარულთა წერილებს...**

— ვხვდები, რაც აინტერესებთ, მაგრამ აქ, ფაქტობრივად, უძლურები ვართ. მოშლილია და უსისტემო ყოველგვარი კავშირი და იქიდან გამოგზავნილ ბილეთებს თუ ვღებულობთ, ძალზე დიდი დაგვიანებით, ერთადერთი საშველი ის არის, რომ სპორტული ლატარიების ჩატარების წესის თანახმად, იქიდან ჩამოსული ბილეთები იმ ტირაჟში მონაწილეობს, რომელსაც ჩამოუსწრებს.

● **ეს ყველაფერი „სპორტლოტოსა" და „სპორტპროგნოზს" ეხება. ბევრი თვლის, რომ უკვე დროა, ჩატარდეს საკუთარი, რესპუბლიკური გათამაშებაც.**

— ამაზე ჩვენც ვიფიქრეთ და სპეციალისტებმა წინასწარ დაიანგარიშეს კიდეც ყველაფერი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოგება, წინასწარი ხარჯების გამოკლებით — იგულისხმება ბილეთების დაბეჭდვა, რეალიზაცია და სხვა — იმდენად მცირეა, ძნელად თუ მოიზიდავს ხალხს.

ჩვენ სხვა გზას დავადექით და ვფიქრობთ, ამან გაამართლა: გამოვუშვით „სპრინტის" ტიპის ლატარია „სხარტულა", რომელიც კარგად იყიდება და გულშემატკივართა შორის საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს. მთლიანად გაიყიდა აგრეთვე, „კანადური" ტიპის ლატარიაც — ეს ის ლატარიაა, რომელზეც, სპეციალურ ადგილზე ხელის გადასმით, ჩნდება მოგების დასახელება.

დაბოლოს, მოთამაშეთა ყურადღება მინდა გავამახვილო ერთჯერად ლატარიაზე „ბარსელონა-92", რომელიც XXV ოლიმპიურ თამაშებს მივუძღვენით. მართალია, შესახედავად ბილეთები არ გამოვიდა ისეთი, როგორსაც ვვარაუდობდით, მაგრამ მოგებები საკმაოდ სოლიდურია. თავად განსაჯეთ — ბილეთის ფასი სამი მანეთია, მოგებები კი — ერთმილიონიანი, რამდენიმე — 100.000-მანეთიანი, 50.000-იანი, — 25.000-იანი, — 10.000-იანი. მგონი, საკმაოდ „მიმზიდველი" თანხებია. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ მოსახლეობაში ნაღდი ფულის ნაკლებობა და გადავწყვიტეთ, ბილეთების რეალიზაცია გადარიცხვითაც გვეწარმოებინა.

თავდაპირველად ტირაჟის ჩატარება ოლიმპიადამდე გვქონდა გადაწყვეტილი, შემდეგ კი ეს ვადა შეიცვალა და „ბარსელონა-92"-ის გათამაშება ჩატარდება 17 აგვისტოს თბილისის სპორტის სასახლეში. რაც მთავარია, გათამაშებაზე დასწრება „ბარსელონას" ბილეთის ყველა მფლობელს შეუძლია.

● **ერთი სიტყვით, შეგვიძლია ყველას ვურჩიოთ ამ ბილეთების შეძენა და მოვიწვიოთ 17 აგვისტოს გათამაშებაზე?**

— რა თქმა უნდა. შეგიძლიათ კი არა, ჩვენი თხოვნაც ეს იქნება, რადგანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ბილეთების რეალიზაციით მიღებული თანხა მოხმარდება ქართულ სპორტს, რომელსაც ახლა ძალზე უჭირს და უჭირს სწორედ ფინანსურად. ჩვენი ათლეტები უკვე საერთაშორისო სარბიელზე გადიან, ეს კი დიდ ხარჯებს მოითხოვს. რა თქმა უნდა, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო და მისი ხელმძღვანელობა, პირადად ბატონი კახი ასათიანი მთელ თავიანთ მონდომებასა და, რაც არანაკლებ საგულისხმოა, ავტორიტეტს ახმარენ ამ საშურ საქმეს. ჩვენი კორპორაციის საქმიანობის მთავარი მიზანიც სწორედ მათ გვერდზე დგომაა.

აქვე მინდა გულით მივულოცო ჩვენს ათლეტებს ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატებები და გამოვთქვა იმედი, რომ ეს იქნება წინაპირობა იმისა, რომ სპორტი კვლავ დაიკავებს თავის ჩვეულ ადგილს ჩვენს თანამემამულეთა ცხოვრებაში და ხალხს კვლავ დაუბრუნებს ესოდენ ნანატრ მშვიდობას.

ერთი სიტყვით, ჩვენი მთავარი ამოცანაა ის, რომ ქართულმა სპორტმა დაიბრუნოს ძველი დიდება და მსოფლიო სპორტულ რუკაზე გაჩნდეს თვითმყოფადი სპორტული სახელმწიფო. რა თქმა უნდა, არც მოყვარულები დარჩებიან უყურადღებოდ. ჩვენ ცდას არაფერს დავაკლებთ, გაკეთებული საქმე კი ყველაფერს ნათლად წარმოაჩენს.

ესაუბრა **გიორგი ქორქია.**

# კიდევ ერთი ხიდი თბილისსა და ნიუ-იორკს შორის

**ჩვენს** პრესაში უკვე დაიბეჭდა რამდენიმე ინფორმაცია ნიუ-იორკის „აქილეს ტრეკ კლაბის" შესახებ. ეს არის ინვალიდთა სპორტული კლუბი, რომელიც 1983 წელს დაფუძნდა.

ერთმა მდიდარმა ამერიკელმა ინვალიდმა სიკვდილის წინ 80 მილიონი დოლარი უანდერძა მის ბედში მყოფთ. მასვე ეკუთვნოდა ამერიკაში ინვალიდთა სპორტული კლუბის „აქილეს ტრეკ კლაბის" შექმნის იდეა, რომელიც შემდეგ განახორციელა ამ კლუბის პირველმა და უცვლელმა პრეზიდენტმა 47 წლის ამერიკელმა მილიონერმა ბატონმა რიჩარდ ტრაუმმა (მას მოკვეთილი აქვს მარჯვენა ფეხი მუხლის ზევით).

ადვილი როდი იყო პირველად გამოსვლა მარათონულ დისტანციაზე პროთეზით. ცხადია, ეს უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ფიზიკური მდგომარეობის გარდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სულიერ განწყობილებას. „უბედურება ის კი არ არის, ხეიბრები რომ ვართ, უბედურება ის არის, ფიზიკური ზიანის შემდეგ სულიც რომ გვიზიანდება. სირბილი სხეულსაც აწრთობს და სულსაც, იგი საშუალებაა შენი არსებობის გასამართლებლად" — ბრძანებს რიჩარდ ტრაუმი და მისი ცხოვრებისეული გამოცდილება თქმულის საუცხოო დადასტურებაა.

ამჟამად „აქილეს ტრეკ კლაბის" ფილიალები შექმნილია დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, მექსიკაში, ავსტრიაში, ახალ ზელანდიაში, რუსეთსა და ჩინეთში. ამ რამდენიმე წლის უკან აღნიშნული კლუბის ქართული ფილიალის ჩამოყალიბების იდეაც გაჩნდა.

ცხოვრების უკუღმართობამ სრულიად ახალგაზრდა გოგონა მერი კალანდია მოსკოვის საავადმყოფოებს მიაჯაჭვა. მას მიღებული ჰქონდა სხეულის ძლიერი დამწვრობა. წლების მანძილზე მოთმინებით ებრძოდა სასტიკ ტკივილებს, ნელ-ნელა ჩვილი ბავშვივით ხელახლა ისწავლა სიარული... მაგრამ რა იცოდა მაშინ მერიმ, ამდენი წვალება და შრომა წყალში თუ ჩაეყრებოდა და ახალი უბედურება დაატყდებოდა თავს — ამჯერად ავტოკატასტროფა... ღვთის წყალობით კვლავ დაუბრუნდა ცხოვრებას, მაგრამ დაკარგა მარჯვენა ფეხი (მუხლის ზემოთ)...

და აი, მერის ცხოვრებაში დგება გარდატეხის ჟამი — მის გვარს ემატება ერთი გვარიც და ხდება ბუშუევა—კალანდია. შემდეგ დედობის სიხარული... მერის სიცოცხლე გამდიდრდა ნათელი ფიქრებითა და სამომავლო ოცნებებით.




ვალენტინ დიკულთან საუბრის შემდეგ გადაწყდა — უნდა ემუშავა, შებრძოლებოდა ავადმყოფობას, ისევ ფეხზე უნდა დამდგარიყო, სპორტით დაინტერესებულიყო... ისევ შეუპოვარი ვარჯიში... ნელ-ნელა მოდიოდა სასიხარულო წუთებიც: პირველი გამოსვლა შეჯიბრებაზე, პირველი გამარჯვებები, „აქილეს ტრეკ კლაბის" პირველი მაისური, პირველი საერთაშორისო შეჯიბრება, პირველი გამგზავრება ნიუ-იორკში, პირველი შეხვედრა „აქილეს ტრეკ კლაბ"-ის პრეზიდენტთან. მთელი ამ ხნის მანძილზე მერის არასოდეს დავიწყებია, რომ ის ქართველია და თან დაჰყვებოდა ფიქრები სამშობლოზე, ფიქრობდა თავისი ქვეყნის მომავალზე, საქართველოში მცხოვრებ ინვალიდებზე.

ტრაუმთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ საქართველოშიც გახსნილიყო „აქილეს ტრეკ კლაბის" ფილიალი და დაიწყო ამ საქმის პრაქტიკული განხორციელება. არაერთხელ ჩამოვიდა მერი თბილისში, შეხვდა სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის პრეზიდენტს ბატონ ზაზა სიხარულიძეს და თანაპრეზიდენტს ქალბატონ ნონა კენჭიაშვილს. მათი აქტიური მხარდაჭერითა და თანადგომით თბილისში ოფიციალურად რეგისტრირებულია ნიუ-იორკის კლუბის ფილიალი. კლუბის წარმომადგენელმა საქართველოს სახელით თავისი ხარჯით ოფიციალურად უკვე ისპარეზა მოსკოვის მსოფლიო საერთაშორისო მარათონში.

ფინანსურად ძალიან უჭირს ჩვენს კლუბს, არა გვაქვს გამოყოფილი სავარჯიშო ადგილი, არა გვყავს მწვრთნელი, არა გვყავს ექიმი-კონსულტანტი, ყოველივე ამის გარეშე კი შეუძლებელია კლუბის წარმატებებზე ფიქრი. კლუბის ახლად არჩეული პრეზიდენტი მერი ბუშუევა—კალანდია საკუთარი ხარჯებით მიემგზავრება ნიუ-იორკში ბატონ რიჩარდ ტრაუმის მიწვევით, რათა უფრო გამაგრდეს თბილისსა და ნიუ-იორკს შორის გადებული კიდევ ერთი ხიდი.

იმედია ქართული სპორტის ბედით დაინტერესებული საზოგადოება, ორგანიზაციები თუ კერძო მეცენატები თავიანთ წვლილს შეიტანენ ამ კეთილშობილურ საქმეში.

**მურმან კალანდია,**

**„აქილეს ტრეკ კლაბის" თბილისის ფილიალის წევრი.**

• • •

**გაცნობებთ „აქილეს ტრეკ კლაბის" თბილისის ფილიალის ანგარიში: სააქციო-კომერციული ბანკი „ივერთბანკი"**
**კოდი 522942, ანგ. 200700850.**




## ვისაც იოგა აინტერესებს

მაშინ, როცა „ასეთ რამეებს" ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებდნენ ან სულაც სდევნიდნენ, ქართველმა მკითხველმა იოგასთან ურთიერთობა ალექსი იაკობაშვილის „ლელოში" დაბეჭდილი წერილებითა და მის მიერ გამოცემული წიგნებით დაიწყო. იმ წიგნებს ავტორმა, აწ უკვე ბომბეის იოგა-თერაპიის ინსტიტუტის საპატიო დოქტორმა, ახლახან კიდევ ერთი შემატა — გამომცემლობა „საქართველომ" 20 000 ტირაჟით გამოსცა ა. იაკობაშვილის „იოგა ჯანმრთელობის სამსახურში". იოგა, როგორც გაჯანსაღების სისტემა, მრავალს აინტერესებს. ასე რომ, ეს წიგნი, ისე როგორც ადრინდელი გამოცემები, კარგ სამსახურს გაუწევს მათ.

## საზღვარგარეთ მოგზაურობის მოყვარულთ!

სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს მოგზაურობისა და ექსკურსიების გაერთიანება გთავაზობთ შემდეგ ტურისტულ მარშრუტებს:

**1. იაპონია (ნიაგატა). 7-14 დეკემბერი.**

საგზურის ღირებულებაა 290 ამერიკული დოლარი და 28 ათასი მანეთი.

ყველა მეორე ტურისტი გარანტირებულია შეძენილი ავტომანქანის ადგილით თბომავალზე.

**2. იაპონია (ხაკაიმინატო). 4-10 და 18-19 ოქტომბერი.**

საგზურის ღირებულებაა 360 ამერკული დოლარი და 26 ათასი მანეთი.

ყველა ტურისტი გარანტირებულია შეძენილი ავტომანქანის ადგილით თბომავალზე.

**3. სამხრეთ კორეა (პუსანი). 24-31 სექტემბერი და 12-19 ნოემბერი.**

საგზურის ღირებულებაა 260 ამერიკული დოლარი და 28 ათასი მანეთი.

ავეჯისა და სხვა მსხვილგაბარიტიანი ნივთების შეძენის შემთხვევაში ტურისტები გარანტირებული იქნებიან ადგილით თბომავალზე.

**4. ჩინეთი (სიუფენხე), ყოველი თვის 20 რიცხვში.**

საგზურის ღირებულებაა 100 ამერიკული დოლარი და 16 ათასი მანეთი.

**5. ჩინეთი (მუდანძიანი), ყოველი თვის 20 რიცხვში.**

საგზურის ღირებულებაა 150 ამერიკული დოლარი და 16 ათასი მანეთი.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №80, I სართული, მოგზაურობისა და ექსკურსიების გაერთიანება. საკონტაქტო ტელეფონები: 23-07-20, 22-58-95, 29-40-32, 23-15-49.

**რედაქტორის მოადგილე**
**თამაზ მიგრიაული**

**საფეხბურთო კლუბი „დინამო" თბილისი სამძიმარს უცხადებს გუნდის ფეხბურთელს ზაზა რევიშვილს მამის შაქრო რევიშვილის გარდაცვალების გამო.**